პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 159 (19001) ოთხშაბათი, 11 ივლისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

მოვუაროთ საბინაო ფონდს

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აშენებენ იმდენ საცხოვრებელ სახლებს, რამდენსაც ჩვენს ქვეყანაში. და, რა თქმა უნდა, დიდი გაქანებით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა საქართველოშიც. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის საბინაო ფონდი დაახლოებით 88 მილიონი კვადრატული მეტრია. აქედან 42 მილიონი კვადრატული მეტრი ქალაქებშია, დანარჩენი კი სოფლად არის აშენებული. მარტო მიმდინარე ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე გათვალისწინებულია აშენდეს 7,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

განუხრელად გრძელდება და წარმატებით ხორციელდება ხალხის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ყოველმხრივი ამაღლებისათვის პარტიის მიერ დასახული კურსი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბინაო პრობლემის გადაწყვეტას. თანდათანობით სულ უფრო მეტი ოჯახი მკვიდრდება ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში. ცხადია, საბინაო პრობლემის საბოლოოდ მოგვარება მოითხოვს არა მარტო მშენებლობათა მასშტაბების გადიდებას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ ყაირათიან, გონივრულ და მზრუნველ დამოკიდებულებას არსებული საბინაო ფონდისადმი, რომელიც უძვირფასეს საყოველთაო-სახალხო ქონებას წარმოადგენს.

ჩვენს რესპუბლიკაში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ყოველწლიურად მნიშვნელოვანი რაოდენობის სახსრები გამოიყოფა. მარტო თბილისში შარშან 17 მილიონი მანეთი დაიხარჯა. ახლა მოგვარებული და გადაწყვეტილია საბინაო მეურნეობის განვითარების მრავალი აქტუალური საკითხი.

ცხადია, საბინაო ფონდის გონივრულ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქალაქებისა და დაბების საბჭოების სათანადო სამსახურებს, მოსახლეობასა და, საერთოდ, საზოგადოებრიობას. საცხოვრებელი ფონდის დათვალიერებაში შარშანდელი მონაცემების მიხედვით გაიმარჯვეს თბილისის ორჯონიკიძის, პირველი მაისის, ლენინის რაიონებმა, ქალაქებმა: ქუთაისმა, სოხუმმა, რუსთავმა, ბორჯომმა, ზუგდიდმა, გაგრამ. აქ ადგილობრივი საბჭოების სათანადო სამსახურები, მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობენ საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობაში, სადარბაზოების, ეზოების მოწესრიგებაში, დასასვენებელი კუთხეების შექმნაში. უთუოდ საჭიროა კიდევ უფრო მეტად დავუჭიროთ მხარი ასეთი გამოცდილების გაზიარებას და ამ საქმეს სათავეში სახალხო დეპუტატთა საბჭოები უნდა ჩაუდგნენ.

უთუოდ კარგად მოიქცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომელმაც კომუნალური სახლების მთლიანი გამოკვლევა მოაწყო. ამით განისაზღვრა შენობათა ფიზიკური „ცვეთის" მდგომარეობა და ის საერთო თანხა, რომელიც საჭიროა საცხოვრებელი ფონდის აღდგენისათვის. რა თქმა უნდა, როცა ნათელია ქალაქისა თუ დაბის საბინაო ფონდის მდგომარეობის საერთო სურათი, მისი აღდგენისა და მოვლა-პატრონობისათვის მუშაობა უფრო გონივრულად და გეგმიანად წარიმართება. ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ ამ მაგალითს მიბაძავენ ჩვენი რესპუბლიკის მსხვილი სამრეწველო ცენტრების ადგილობრივი საბჭოები, კომუნალური დაწესებულებები და საბინაო ფონდის შემოწმების შედეგად შექმნიან ისეთ სამუშაო მონახაზს, რომლის ხორცშესხმა ხელს შეუწყობს საცხოვრებელი სახლების გეგმაზომიერ შეკეთებასა და აღდგენითს სამუშაოებს. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ.

საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, სათანადო კომუნალური სამსახურების მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად საყურადღებო რეკომენდაციები შეიმუშავა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირ-სემინარმა, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა. ახლა საჭიროა ეს რეკომენდაციები იცოდნენ კომუნალური სამსახურების ყველა რგოლის მუშაკებმა და გულმოდგინედ იზრუნონ მათი ფართო დანერგვისათვის.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ კეთდება რესპუბლიკაში საცხოვრებელი სახლების და საერთოდ მთელი საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისათვის, მაგრამ ისიც არ არის დასამალი, რომ სახლების ექსპლოატაციის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები გვაქვს. ფაქტია, ბევრგან ცუდი მოვლის გამო სახლი მალე ძველდება, მწყობრიდან გამოდის საინჟინრო მოწყობილობანი. ასეთ ფაქტებს ვხვდებით თბილისში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, ტყიბულში, გორში, და ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში. ნაკლი და ხარვეზი ძირითადად იმით გამოიხატება, რომ სახლებს დროულად არ არემონტებენ, უწესრიგობის გამო შეფერხებებია წყლის, სითბოს, გაზის მიწოდებაში, ლიფტების მუშაობაში, ხშირია ავარიები, რის შედეგადაც ზიანდება შენობები.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი ნაკლოვანებებია საუწყებო ბინების მოვლა-პატრონობაში, ცალკეული ორგანიზაციები ჯეროვნად და კვალიფიციურად ვერ პატრონობენ საცხოვრებელ ფონდს. ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი სახლი ვერც გარეგნული იერით და ვერც შიდა მოწყობილობით ელემენტარულად ვერ უპასუხებს მოთხოვნებს.

მოსახლეობის მრავალი სამართლიანი საჩივარი მოდის იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები ხანგრძლივად ჭიანურდება. ხშირად გეგმებიც ირღვევა და ამით ზიანდება საერთო საქმე. ამიტომ ყოველი ღონისძიებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კიდევ უფრო გავაფართოოთ მსხვილი სარემონტო საწარმოების ქსელი, რომლებსაც მუდმივი დახმარება უნდა გაუწიოს სამშენებლო ინდუსტრიამ. ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით კომუნალური სამსახურების მომარაგებას.

საცხოვრებელ სახლებს კაპიტალური რემონტის შემდეგ მხოლოდ სახელმწიფო კომისია უნდა იღებდეს. ეს დიდად შეუწყობს ხელს სამუშაოთა ხარისხს, გაზრდის იმათ პასუხისმგებლობას, ვინც ამ საქმეს ასრულებს.

საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობაში დიდი როლი ეკისრება მოსახლეობას. „სახლი ჩვენია და ჩვენვე უნდა გავუფრთხილდეთ"! თბილისსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში ასეთი დევიზით ნაღდება ახლა მოძრაობა საბინაო ფონდის ნიმუშიერი მოვლა-შენახვისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი მობინადრე თვითნებობს, უგულებელყოფს საზოგადოებრივ აზრს, საერთო წესებს და ახალ სახლებში ფასადებისა და შიგა ოთახების ისეთ გადაკეთება-გადმოკეთებას ახერხებს, რომ მნიშვნელოვნად იცვლება შენობათა გარეგნული სახე და სუსტდება მათი საიმედოობაც. განა შეიძლება საერთო კედლების ნგრევა სხვადასხვაგვარი სათავსებისა თუ გასასვლელების მოსაწყობად? ასეთი ფაქტები ხშირად არის თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ამოცანა ის არის, რომ ხშირად ვამოწმებდეთ, თუ როგორ აკეთებენ რემონტს ჩვენი მობინადრეები, რას ცვლიან და რას უმატებენ. ურიგო არ იქნება, თუ მოვაწყობთ მასობრივ რეიდებს, დათვალიერებებს, რომლებშიც ჩავაბამთ მიკრორაიონების აქტივისტებს, პენსიონერებს, ახალგაზრდობას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ საცხოვრებელი ბინების სწორ, კანონიერ ექსპლოატაციას. პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა კომუნალური სამსახურების კოლექტივების, მიკრორაიონების საბჭოების, მთელი აქტივის მეცადინეობა უნდა წარმართონ იმისათვის, რომ გაიზარდოს მინდობილი საქმისადმი, საერთო-სახალხო ქონების მოვლა-პატრონობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ცედენბალს და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ჟ. ბატმუნხს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა, რომლითაც გულითადად ულოცავენ ეროვნულ დღესასწაულს — მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 63 წლისთავს.

60 წელი ბელადის სახელით, პარტიის ზრუნვით, პარტიის ყურადღებით

ამ დღეებში მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ზეიმით აღნიშნავს დიდ თარიღს — კომკავშირისათვის ლენინის სახელის მინიჭების 60 წლისთავს. დიახ, სამოცი წლის წინათ მოსკოვში გამართულმა კომკავშირის VI ყრილობამ თავისი ორგანიზაციის სახელწოდებას დაუმატა სიტყვა — ლენინური. მას შემდეგ ჩვენმა ახალგაზრდობამ საქმით დაამტკიცა, რომ იგი ღირსია ატარებდეს დიდი ბელადის სახელს.

დიდებით შემოსა თავისი სახელი საბჭოთა ქვეყნის კომკავშირის ერთ-ერთმა სახელოვანმა და მოწინავე რაზმმა — საქართველოს კომკავშირმა. მშვიდობიანი მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ყველა უბანზე უჩვენეს მათ პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება.

საქართველოს კომკავშირელები დღეს ახალი შემართებით იღვწიან მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ისინი დიდი მოწონებით შეხვდნენ ამ დღეებში გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების შესახებ". ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდული მოძრაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა სოციალისტურ საზოგადოებაში თაობათა რევოლუციური მემკვიდრეობის უმთავრესი პირობა და უმნიშვნელოვანესი გარანტი, კომკავშირის იდეურობის, მებრძოლობისა და შემოქმედებითი აქტიურობის საწინდარია.

• • •

სურათებზე: (ზემოთ) თბილისის ქარხანა „თბილისელსაწყოს" მიკროგამტარების № 6 საამქროს ზეინკალ-ელექტრომემონტაჟე კომკავშირელი ლუბოვ ზურაბაშვილი თავის პროფესიაში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია მთელ ქარხანაში. კომკავშირელი მაია ხუციშვილი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიდა სამუშაოდ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამრეწველო ექსპლოატაციის განყოფილებაში. აქ ითვისა მან ტექნიკოსის პროფესია და უკვე მეხუთე წელია რთულსა და პასუხსაგებ საქმეს წარმატებით ასრულებს.

ა. სააკოვის ფოტო.

მახარაძელთა სწრაფი ტემპი

მახარაძე. (ტელეფონით „კომუნისტის" საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის სწრაფი ტემპია აღებული. აქ 10 ივლისისათვის მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად მიაწოდეს 47.775 ტონა ნედლეული, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.220 ტონით მეტი. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ვეგეტაციის ჩაის ფოთოლი ახლა შემოდის, 8 ივლისს რაიონში მაინც მოკრიფეს 278 ტონა ნედლეული, სულ ივლისის რვა დღეში კი 2.792 ტონა.

— მეჩაიეები რაოდენობასთან ერთად არც ხარისხს ივიწყებენ, — თქვა სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ ცერცვაძემ, — ახლა ყოველდღიურად ვამზადებთ დიდძალ ხარისხოვან ნედლეულს, შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 320 ტონით მეტი ფოთოლი. დღემდე სახელმწიფოს მივყიდეთ 3 ათას ტონაზე მეტი ნედლეული, რომლის პირველი ხარისხი 79 პროცენტია.

ხუთწლედი – წელი მეოთხე

ამწეშენებელთა ახალი სიმაღლე

პრაქტიკას არაერთგზის დაუდასტურებია, რომ წარმოების განახლებისათვის გამოყოფილი თანხები საშუალოდ სამჯერ უფრო სწრაფად ანაზღაურდება, ვიდრე ანალოგიური საწარმოო სიმძლავრეების მშენებლობისათვის გამიზნული კაპიტალდაბანდებანი.

სწორედ ამიტომ რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს საწარმოს ტექნიკურ განახლებას, დანადგართა მოდერნიზაციას. ბოლო ხანს აქ მრავალი სიახლე დაინერგა. განხორციელდა საამწყობო საამქროს რეკონსტრუქცია, დამონტაჟდა ავტომატური და ნახევრად ავტომატური შემდუღებელი დანადგარები. ახლა ყველა შესადუღებელი სამუშაოს 40 პროცენტს ავტომატები ასრულებენ, ხოლო 30 პროცენტს — ნახევრად ავტომატური დანადგარები. სამჭედლო-მოსამზადებელ საამქროში დაიდგა პლაზმური ჭრის ოთხი დანადგარი, ყოველივე ამან თითქმის 30 პროცენტით გაზარდა მწარმოებლობა.

წლეულს ქარხნის მშრომელთა პირად სოციალისტურ ვალდებულებებში ახალი პუნქტი გაჩნდა. ისინი კისრულობენ გეგმის გადამეტებით შრომის ნაყოფიერება ერთი პროცენტით გაადიდონ,

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

პროდუქციის თვითღირებულება კი დამატებით 0,5 პროცენტით შეამცირონ. შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით გაზრდა გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქციის, ანუ ექვსი კოშკურა ამწის გამოშვებას ნიშნავს. თვითღირებულების ნახევარი პროცენტით შემცირება საწარმოს 80 ათას მანეთს დაუზოგავს. მიცემული სიტყვის შესრულებისათვის მთავარი როლი კვლავ წარმოების განახლებამ და მოდერნიზაციამ უნდა შეასრულოს.

ასეც ხდება: ქარხნის მექანიკურ საამქროში გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე ერთი თვით ადრე დამთავრდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. საამქროში უნივერსალური ჩარხები აგრეგატული ჩარხებით შეიცვალა.

სიახლის მნიშვნელობა განგვიმარტა ამწესაშენებელი ქარხნის დირექტორმა ალექსანდრე სირაძემ.

— ადრე ამწის ასაწყობი კვანძებისათვის დეტალებს ცალ-ცალკე ვჩარხავდით, აგრეგატულ- [illegible] ულად მიმდინარეობს, ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება ორჯერ გაიზარდა. წლის დამლევამდე კიდევ ორ აგრეგატულ ჩარხს დავამონტაჟებთ, რაც, ცხადია, კიდევ უფრო გაზრდის მწარმოებლობას.

შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, განაგრძობს დირექტორი, კვლავაც არაერთ სიახლეს დავნერგავთ. მათი უბრალოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. უმთავრესს მოგახსენებთ: შარშან ჩვენთან მწყობრში ჩადგა ფოლადის სხმულების საამქრო, რომლის სიმძლავრე წლეულს მთლიანად უნდა ავითვისოთ. აქ ყველა პროცესი მექანიზებულია, თითქმის მთლიანად გამოირიცხება ხელის შრომა, საგრძნობლად ამაღლდება შრომის ნაყოფიერება. დავიწყეთ კოშკურა ამწეების საკაბელო დოლების სერიული გამოშვება. მათ გამოვიყენებთ არა მარტო ჩვენი საჭიროებისათვის, წლის დამლევამდე ორი ათას ცალ კოშკურას საბჭოთა კავშირის მონათესავე საწარმოებსაც გავუგზავნით. აქედან ორასს საპატიო ხუთკუთხედი დაამშვენებს. განზრახული გვაქვს კოშკურა ამწეების მოდერნიზება. ტვირთამწევი ურიკა ამწის ისარზე წინ და უკან ივლის. ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს.

დასასრულ ამწემშენებელთა კიდევ ერთ წარმატებაზე გვინდა მოვუთხროთ მკითხველებს. ქარხნის კოლექტივი წლითიწლობით ზრდის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას. საწარმოში ნარჩენებიდან ამზადებენ დეკორატიულ ღობეებსა და წყალსაცავ ავზებს. მათ კოლექტიურ მებაღეობაში გამოიყენებენ ნაკვეთების შემოსაღობად და მიწის მოსარწყავად. თქვენ წარმოიდგინეთ, ამწემშენებლები ნარჩენებისაგან ავტომანქანა „ჟიგულის" სათადარიგო ნაწილებსაც კი ამზადებენ. ხელფასის ფონდის თითოეულ მანეთზე ქარხანა 30 კაპიკი ღირებულების ფართო მოხმარების საქონელს უშვებს, ეს ორჯერ აღემატება დარგის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. სსრ კავშირის სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარება რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანა, ასეთი მაჩვენებლის მიღწევას მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ვარაუდობს.

გ. კახაბრიშვილი.

ყველანი მინდვრად გავიდნენ

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომში, რაისაბჭოს აღმასკომში, აგროსამრეწველო გაერთიანებაში ახლა ძნელად თუ ვინმეს ნახავთ ადგილზე. ყველანი მინდვრად არიან გასული. ახლა იქ წყდება ბოლნისის რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგის — საადრეო კარტოფილის წარმოების ბედი. ბოლნისელებმა გეგმით სახელმწიფოს 55.500 ტონა კარტოფილი უნდა მიჰყიდონ. მათივე ვალდებულებით უფრო მეტი — 56.500 ტონა კარტოფილის მოყვანაა ნავარაუდევი.

დღეში რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში 80-100 ჰექტარზე იღებენ მოსავალს. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 1500-1600 ტონა კარტოფილს გზავნიან თბილისში, რუსთავში, რესპუბლიკის საკურორტო ქალაქებში და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში.

ყველაზე მეტ მოსავალს იღებენ სარაჩლოს საბჭოთა მეურნეობაში. აქ საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 190 ცენტნერია. კარტოფილი ჯერ კიდევ თავს იკეთებს, ირწყვება.

ფახრალოს საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა 12.500 ტონა საადრეო კარტოფილის ამოღება ივალდებულეს. აქ სარაჩლოელებთან შედარებით ჯერჯერობით ნაკლებ მოსავალს იღებენ, მაგრამ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ორი კვირის შემდეგ ჰექტარზე 140-150 ცენტნერს მიიღებენ.

კარტოფილის ნათესებიდან მოსავლის გამოსაზიდად რაიონში არსებული ტრანსპორტია მობილიზებული. მერე კი საქმეში ერთვება რკინიგზა, კარტოფილს ეზიდებიან დიდი ავტომატარებლები. ერთი სიტყვით, ბოლნისელი მეკარტოფილეები ტრანსპორტის მხრივ არ ფერხდებიან.

ბოლნისელი მეკარტოფილეები იმედოვნებენ, რომ სახელმწიფოს დანაპირებ 56.500 ტონა კარტოფილს მისცემენ.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

560.000 ტონა ჩაისათვის

ახლა დრო ძვირად ფასობს. ივლისში წყდება წლიური გეგმა-ვალდებულების შესრულების ბედი. როგორ იბრძვიან ზუგდიდელი მეჩაიეები ნაკისრი ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის, რა ულხინთ და რა უჭირთ? რაოდენობასთან ერთად — ხარისხი! — ასეთია მეჩაიეთა შრომითი დევიზი.

წლეულს ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა გადიდებული ვალდებულება იკისრეს — მოკრიფონ და მრეწველობას გადასამუშავებლად მიაწოდონ 76.110 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წინა წელს მოკრეფილზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს საგეგმო დავალებაზე 8.110 ტონით მეტია. ამ ვალდებულების უთუო შესრულებისათვის [illegible] შრომობენ მეჩაიეები.

ახლა მეორე ვეგეტაციის ჩაის დუყები უხვად შემოდის და მეჩაიეებიც არ აყოვნებენ კრეფას, ნედლეულის რაოდენობასთან ერთად უპირველეს საზრუნავად მიიჩნევენ ხარისხისათვის ბრძოლას და გადაწყვიტეს შარშანდელთან შედარებით 2-3 პროცენტით გაზარდონ დამზადებული ნედლეულის პირველი ხარისხის ხვედრითი წილი.

9 ივლისისათვის რაიონში სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 31.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 412 ტონით ნაკლები. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მალე ზუგდიდელები შარშანდელ დონეს გაუსწრებენ.

კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ჯ. ბუბუტია) მეჩაიეებმა პირველი ვეგეტაციის ერთი დუყიც არ დატოვეს მოუკრეფავი. აღსანიშნავია, რომ მაის-ივნისში მოკრეფილი 1.600 ტონა ნედლეულიდან 87,6 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ბევრი სახელოვანი მეჩაიე ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ნარაზენელები სეზონში 4 ათას ტონამდე ჩაის ნედლეულს ამზადებენ.

მეჩაიეთა გადამწყვეტი თვე

დღემდე დამზადებულ ნედლეულში პირველმა ხარისხმა 86,6 პროცენტი შეადგინა.

დამკვრელური შრომა ჩქეფს ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის (დირექტორი — გრ. შონია) პლანტაციებში. მეურნეობაში დღემდე დამზადებული 2.497 ტონა ნედლეულიდან 76 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. პლანტაციების დათვალიერებისას ვნახეთ საუკეთესოდ მოვლილი ბუჩქები, რომლებიც დროულად მოეკრეფათ სახელოვან მექანიზატორებს. ახლა მეორე ვეგეტაციის მოსავალს კრეფენ.

ჩაის ფოთლის დროული მიღება-გადამუშავებისათვის კარგად მოემზადა ჩაის ფაბრიკების რაიონული გაერთიანება (გენერალური დირექტორი — რ. ივარდავა). ცხრავე ჩაის ფაბრიკას გაუკეთდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. მანქანა-დანადგარები სრულ წესრიგში მოიყვანეს, სათადარიგო ნაწილებით, ტარა-ყუთებით და სხვა მასალებით უზრუნველყვეს. ყოველივე ამან შექმნა ნედლეულის დროული მიღებისა და ხარისხიანი გადამუშავების შესაძლებლობა.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ასე გამართულად როდი მუშაობს ინგირის, ტყაიის, ონარიის, ჭკადუაშის, რუხის საზოგადოებრივი მეურნეობების ეგრეთ წოდებული მიკროფაბრიკები. ძალზე გართულებულია მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგება.

ა. გედენიძემ, ჭკადუაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გვითხრა, რომ ყოველწლიურად გვეჭირდა ჩაის ფოთლის ჩაბარებაო. იყო შემთხვევები ნედლეულით დატვირთული მანქანებით ხან ერთ, ხან მეორე ფაბრიკაში, ხშირად მეზობელი რაიონების ფაბრიკებში დავდიოდით, მაგრამ ხსნა არსაიდან ყოფილა, ყველა ფაბრიკას სიმძლავრეების ნაკლებობის გამო უჭირდა ჩაის ფოთლის გადამუშავება და იმდენ სიარულში გაფუჭებული ჩაის ფოთოლი გადაგვიყრია. ზემდგომი ორგანოების ხელშეწყობითა და დახმარებით ავაშენეთ მიკროფაბრიკა, რომელიც 1982 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. წარმოების ხელმძღვანელად ადგილობრივი მკვიდრი, ამ საქმის სპეციალისტი და ენერგიული ახალგაზრდა ი. მანია დავნიშნეთ, რომელიც საქმეს მონდომებით უძღვება. მაგრამ რა, ჭირს მიკროფაბრიკის სათადარიგო ნაწილების შოვნა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ სხვა ნაკლოვანებანიც:

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ვნახეთ გადაუხეშებული ჩაის დუყები. მეურნეობის დირექტორმა ვ. მაჭავარიამ გვითხრა: პირველი ვეგეტაციის 60-65 ჰექტარზე ჩაის ფოთოლი, ელექტროენერგიის ხშირი გამორთვის გამო, დროზე ვერ მოვკრიფეთ. ამ მიზეზით ხელის საკრეფი მანქანების მექანიზატორები ცდებიან, 50 მექანიზატორი კი სხვა მეურნეობაში წავიდა სამუშაოდ. მეურნეობას მუშახელი არ ჰყოფნის. კულაშის (სამტრედიის რაიონი) ზოოვეტერინარული ტექნიკუმის დირექციამ ქარს გაატანა დანაპირები და მოსწავლეები შრომითს სემესტრზე არ ჩაიყვანა მეურნეობაში. მეურნეობას აკლია აგრეთვე ხელის საკრეფი აპარატების სათადარიგო ნაწილები.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ვიზიტად მოსკოვში

9 ივლისს კრემლში გაიმართა ნ. ა. ტიხონოვისა და ლ. შტროუგალის შეხვედრა.

გამართული აზრთა გაზიარების დროს მაღალი შეფასება მიეცა შედეგებს, რომლებიც განვლილ პერიოდში არის მიღწეული საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ძმური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში.

ამხანაგებმა ნ. ა. ტიხონოვმა და ლ. შტროუგალმა ერთმანეთს გააცნეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიაში სკკპ XXVI ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობის, მათი ცენტრალური კომიტეტების მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი, როგორ მზადდება ამ ორ ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული პერიოდის პროგრამები.

იმ მორიგებათა შესაბამისად, რომლებსაც მოსკოვში, ამა წლის ივნისის შეხვედრაზე გამართული საუბრის დროს მიაღწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა, მხარეებმა შეათანხმეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების ინტეგრაციული კავშირურთიერთობის გაღრმავების პრაქტიკული ღონისძიებანი ორი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების გასავითარებლად.

განიხილეს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1986-1990 წლების პერიოდის სახელმწიფო გეგმების მიმდინარე კოორდინაციასთან დაკავშირებული თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და დასახეს მათი გადაწყვეტის პრინციპული გზები.

ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო საკითხზე აზრთა გაზიარებისას აღინიშნა, რომ ამჟამინდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, მათი მონაწილეობა ვარშავის ხელშეკრულებაში საიმედოდ უზრუნველყოფს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა უშიშროებას და საზღვრების შეუვალობას. მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია ამრავლებენ ძალისხმევას, რათა უზრუნველყონ მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება, თანმიმდევრულად განახორციელონ მათ მიერ წამოყენებული კონსტრუქციული სამშვიდობო ინიციატივები, აქტიურად წინააღუდგნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების მილიტარისტულ კურსს საერთაშორისო ვითარების გამწვავების მიზნით.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობების მეთაურთა შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა და დაადასტურა შეხედულებათა ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე.

• • •

შეხვედრის შედეგების გამო ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ოქმს.

• • •

სსრ კავშირის მთავრობამ სტუმრის პატივსაცემად კრემლში საუზმე გამართა. საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ტიხონოვი, ჰ. ა. ალიევი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმეზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა ნ. ა. ტიხონოვმა და ლ. შტროუგალმა. სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

• • •

სალამოს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა.

აეროდრომზე იგი გააცილეს ნ. ა. ტიხონოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქინფორმი).

დელეგაცია გაემგზავრა

10 ივლისს მოსკოვიდან პრაღას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების მორიგ თათბირში მონაწილეობისათვის.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

გამცილებელთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ზ. ჩერნი.

• • •

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პრაღაში ჩავიდა.

აეროდრომზე მას დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფოიტიკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გავლინი, სხვა ოფიციალური პირნი. (საქინფორმი).

ბ. ქარმალი ჩამოვიდა

9 ივლისს ქაბულიდან მოსკოვს ჩამოვიდა ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ქარმალი საბჭოთა კავშირში ხანმოკლე ყოფნის მიზნით. (საქინფორმი).

ქვირფასი კუთხე

მწერლის დღიურიდან

სამხრეთული მიწის ზოლი, საკმაოდ გრძელი და არცთუ ფართო, რომელიც ისარს მოგვაგონებს, თავისი ბუნებით ზღვას მიბჯენია. თანაც, არა რომელიმე სხვა, არამედ შავ ზღვას. ალერსიანსა და თბილს, „ქვეყნად ულურჯეს ზღვას". გაგრიდან ალმოსავლეთისაკენ რომ იაროთ, მთელი გზის მანძილზე მარცხნივ ამწვანებული მთისწინეთი მოგდევთ, მის უკან კი კარგად მოჩანს მთებიც. მთები საკმაოდ მაღალია. მათი მწვერვალების იდუმალი სიჭაბუკე და სიწმინდე თვალს იტაცებს. მარცხნივ მთისწინეთი და მთებია, მეორე მხარეს კი ტალღები ლოკავენ დაკლაკნილ ნაპირს. შორს უსაზღვრო ზღვის ლაჟვარდი მოჩანს...

ეს ბიჭვინთა გახლავთ, კონცხი თუ ნახევარკუნძული. მისი სიგრძე ათიოდე კილომეტრია, სიგანე კი ამის მესამედი თუ იქნება — ეს არის და ეს მთელი აქაური ტერიტორია. მეხუთე სართულიდანაც კი მოჩანს თითქმის მთელი ბიჭვინთა. მისი ცენტრია: ძველი ტაძრის გუმბათი, კვიპაროსის ხეივანი, თეთრი კორპუსების სახურავები, საცხოვრებელი ნაგებობანი...

როცა დაბისაკენ მიჰყვები ნაპირს, რამდენჯერმე შეჩერდები, რათა მშვიდად დაათვალიერო გარემო. განსაკუთრებით იქ, სადაც ფიჭვნარი იწყება. ეს ჩვეულებრივი ფიჭვი არ გეგონოთ, რელიქტურია. უძველესი, როგორც ამბობენ, ასეთი ფიჭვი არსად აღარ გვხვდება. აქაც კლებულობს მათი რიცხვი. ყოველ ხეს თავისი ნომერი აქვს შემბული. გული გტკივა, როცა გამხმარ, ფესვებგამომშრალ ფიჭვს გადაეყრები...

ბიჭვინთაში პირველად არა ვარ, და ყოველ ჩამოსვლაზე აქაურობას გლეხური თვალითაც ვაკვირდები: როგორი მარჩენალია აქაური მიწა, ყველაფერს აძლევს თუ არა იმას, ვინც მას ამუშავებს?...

— რა თქმა უნდა, ჩვენი მიწა მარტო თვალს კი არ ახარებს, გვასაზრდოებს კიდეც. ვცდილობთ გონივრულად გამოვიყენოთ: ხომ ილით, ძალიან ძვირად ფასობს ჩვენში მიწა. ჰექტარობით კი არა, მეტრობით და ასმეტრობით ვზომავთ...

ამას მეუბნება ენვერ ერისტოს ძე კამბა. მე კარგა ხანია მას ვიცნობ, მაშინ ჯერ კიდევ ბიჭვინთის კურორტის დირექტორი იყო. ახლა კი კამბა პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია. მძიმეა მისი ტვირთი. თუ წინათ ძირითადად მარტო კურორტზე და იქაურ ყვავილნარებზე ფიქრობდა, ახლა მისი საზრუნავია დასასვენებელი სახლებიც, თვით ქალაქიც, აქაური სოფლებიც. რაიონი თითქოს პატარა არ უნდა იყოს, რამდენიმე ათეულ კილომეტრზე გადაჭიმულა, სახნავი კი ბიჭვინთიანად სულ სამი ათასი ჰექტარია. მაგრამ ეს ჰექტრები კარგ ნაყოფს იძლევა. აქ ყველგან მშენებლობაა. ახლა შორეულ ფერმებთან ნებისმიერ ამინდში შეგიძლიათ წახვიდეთ მანქანით. მთებშიც გზები გაიყვანეს, იქედან ჩამოაქვთ ალპური მდელოების თივა, წინათ კი ამ ადგილებს მანქანა ვერ მიუდგებოდა. ცდას არ აკლებს პარტიის საქალაქო კომიტეტი, კომუნისტებსაც და მთელ მოსახლეობასაც უნერგავს იმ აზრს, რომ თვითონ, ადგილზევე აწარმოონ სხვადასხვა პროდუქცია, თანაც, რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო ხარისხისა.

— ჩემი საყვარელი ბიჭვინთის შესაძლებლობანი ამოწურული როდია, — განაგრძობს ენვერ კამბა. — აქ ორი კოლმეურნეობაა, ორი საბჭოთა მეურნეობა, მეფრინველეობის ფაბრიკა; თევზის რეწვასაც მისდევენ. უფრო სწორედ, ერთი საბჭოთა მეურნეობა, მეძეხვეობის მეურნეობა ზღვისპირეთიდან სხვაგან გადაგვყავს. ბიჭვინთა დროთა განმავლობაში ბაღ-ბოსტნად გადაიქცევა. აი, მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა. გარკვეული თვალსაზრისით, იგი ნიმუშად გამოგვადგება...

სოფელი ალახაძი თითქმის ბიჭვინთის დასაწყისშია...

[...]

იური გრიგოვი,

აფხაზეთის ასსრ.

„პრავდა", 1984 წ. 10/VII.

გვესაუბრება მინისტრი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ახლახან დადებითად შეაფასა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წინადადებები ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირებისა და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევით სამინისტროს აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების თაობაზე.

[...]

ასე მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები

[...]

10 ივლისი

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები, საკვირველი იუწყება

● გდრ

ე. ჰონეკერის ინტერვიუ

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად თანამიმდევრულად უჭერს მხარს კონსტრუქციულ დიალოგს დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის, იგი კვლავაც იბრძოლებს თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა იტალიის გაზეთ „მესჯეროსათვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელიც გამოაქვეყნა „ნოიეს დოიჩლანდმა".

ამჟამად, ხაზგასმით აღნიშნა მან, უპირველესი პრობლემაა მშვიდობის უზრუნველყოფა. ამის ერთ-ერთი ძირეული წანამძღვარია სამხედრო წონასწორობის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა გაიხსენა საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი წინადადებანი, რომელთა განხორციელებამ უნდა გამოიწვიოს შეიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირება. სსრ კავშირმა ამას წინათ დაადასტურა, რომ მზად არის სერიოზულად განიხილოს ეს საკითხები მოლაპარაკების მაგიდასთან, როგორც კი ამერიკის მხარე გააუქმებს მის მიერ წამოყენებულ მოლაპარაკებას პრინციპულად ულტიმატუმურ

პირობებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მხარს უჭერს ისეთი მორიგების მიღწევას, რომელიც უზრუნველყოფს მეტ უშიშროებას როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების უფრო დაბალი დონის პირობებში.

დასავლეთ ევროპაში პირველი დარტყმის ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებამ კიდევ უფრო გაართულა და გაამწვავა საერთაშორისო ვითარება. სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის შენარჩუნების მიზნით სოციალისტური ქვეყნები იძულებული გახდნენ განეხორციელებინათ შესაბამისი საპასუხო ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, ხაზგასმით აღნიშნა ე. ჰონეკერმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მოკავშირეები კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ გამალებული შეიარაღების გაძლიერების თავიდან აცილებისათვის.

● ქუვეითი

მტკიცდება ორმხრივი ურთიერთობა

ქუვეითი. ქუვეიტი და საბჭოთა კავშირი იჩენენ მუდმივ დაინტერესებას ორმხრივი ურთიერთობის განვითარებითა და ხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებით. ეს ნათქვამია კუნას სააგენტოს კომენტარში სსრ კავშირში ქუვეიტის თავდაცვის მინისტრის შეიხ სალემ ას-საბაჰ ას-სალემ ას-საბაჰის ოფიციალური ვიზიტის გამო.

ეს ვიზიტი, აღნიშნავს სააგენტო, მოწმობს, რომ მტკიცდება საბჭოთა კავშირ-ქუვეიტის ურთიერთობა სხვადასხვა დარგში. სააგენტო ხაზს უსვამს, რომ თავის საგარეო პოლიტიკაში ქუვეიტი ხელმძღვანელობს იმით, რომ მეგობრული ურთიერთობა უნდა დაამყაროს ყველა სახელმწიფოსთან თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

ეხება რა სპარსეთის ყურის ზონის პრობლემებს, კუნას სააგენტო აღნიშნავს, რომ ქუვეიტი და სსრ კავშირი გადაჭრით გმობენ უცხოეთის ყოველ ჩარევას რეგიონის ხალხთა საქმეებში და მხარს უჭერენ იქ მდებარე სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ორივე მხარე აცხადებს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე შეწყდეს ირან-ერაყის კონფლიქტი, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ იმ ძალებისათვის, რომლებიც ცდილობენ დაამყარონ თავიანთი ჰეგემონია სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარი რაიონისათვის.

ფოტოინფორმაცია

ფინეთი. ჰელსინკის საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების სახლი ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის ცენტრია. ფინელი საზოგადოებრიობის ფართო წრეები აქ ეცნობიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, მის შრომით წარმატებებსა და კულტურულ, სამეცნიერო და სპორტულ მიღწევებს.

სახლში მუშაობს რუსული ენის წრეები, რომლებიც დიდად პოპულარულია ქალაქელთა შორის. ამას წინათ მორიგმა გამოცდები, და მსმენელთა ჯგუფმა მიიღო კურსების წარმატებით დამთავრების მოწმობა.

სურათზე: რუსული ენის კურსების მსმენელთა ჯგუფი, რომლებსაც ხელში უჭირავთ მათი წარმატებით დამთავრების მოწმობები.

ხ. მაისტერმანის ფოტო,

(საკდესის ფოტოქრონიკა).

● პორტუგალია

მოითხოვენ მმართველი კოალიციის გადადგომას

[...]

ამის მაგიერ, თქვა პორტუგალიის კომპარტიის ხელმძღვანელმა, „მან გაჩაღა ნამდვილი ეკონომიკური და პოლიტიკური ომი ნაციონალიზაციის, აგრარული რეფორმისა და სხვა დემოკრატიულ მონაპოვართა წინააღმდეგ". ეკონომიკური და ფინანსური ალორძინების პროგრამა, რომელიც

[...]

ვაშინგტონმა მოიწონა

[...]

ლიბანის ამბები

ბეირუთი. ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტის საქმიანობა, რომელიც დღეს განახლდა 5 თვის ხანგამოშვების შემდეგ, კვლავ შეაჩერეს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით იმის გამო, რომ აეროპორტის მთელი მისასვლელი გზები გადაკეტეს მასობრივი დემონსტრაციების მონაწილეებმა. ისინი მოითხოვდნენ ლიბანში სამოქალაქო ომის დროს მოქიშპე მხარეების მიერ დატყვევებული მძევლების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ეს პრობლემა კვლავინდებურად რჩება ქვეყნის ვითარების ნორმალიზაციის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად. დემონსტრანტებმა აგრეთვე გადაკეტეს ყველა ძირითადი საკონტროლო გასაშვები პუნქტის მისადგომები ხაზზე, რომელიც ბეირუთს ჰყოფს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სექტორებად.

ეს დღეებია, ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლში მიმდინარეობს შეიარაღებული შეტაკებანი სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. მიმართა რა მომუღლეებს, პრემიერ-მინისტრმა რ. კარამემ კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებს მოუწოდა განუხრელად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტისა და დაშორიშორების შეთანხმება ლიბანის შინაგანი უშიშროების ძალების მონაწილეობით.

ქვეყნის ოკუპირებული სამხრეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, ლიბანელმა პატრიოტებმა ახალი დარტყმები მიაყენეს ისრაელი აგრესორის ჯარებს. ტირის, ზახრანისა და ჭდარ-მლიკის რაიონებში პარტიზანები თავს დაესხნენ დამპყრობთა პატრულებს, დაუშინეს მათ ავტომატები და ყუმბარმტყორცნები. პარტიზანთა ოპერაციების შედეგად დაზიანდა ორი ჯავშანტრანსპორტიორი, რამდენიმე ინტერვენტი დაიჭრა. ისრაელის მხედრიონმა მაშინვე მოაწყო ჩხრეკა-დაპატიმრება მშვიდობიან მოსახლეობას შორის. ქალაქ საიდაში თელ-ავივის მიერ შექმნილი მარიონეტული „სამხრეთ ლიბანის დამცველი არმიის" კოლაბორაციონისტებმა მორიგი დასჯითი აქციის დროს უწესრიგო სროლა ატეხეს. რამდენიმე გამვლელი მძიმედ დაიჭრა.

● შვეცია

გაიხსნა პაგუოშის კონფერენცია

სტოკჰოლმი. შვეციის ჩრდილოეთში ბიერკლიდენში გაიხსნა პაგუოშის ოცდამეთოთხმეტე კონფერენცია, რომელიც იმართება დევიზით „მეცნიერება, უშიშროება და საზოგადოებრივი აზრი".

ამ წარმომადგენლობით საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში მონაწილეობს მსოფლიოს 35 ქვეყნის ასორმოცდაათზე მეტი მეცნიერი მუშაკი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე...

[...]

...გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთელი რიგი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განიხილავენ იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტასთან, ევროპის კონტინენტზე უშიშროების უზრუნველყოფასთან. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას, ქიმიური იარაღის აკრძალვასა და მოსპობას. კონფერენციის მონაწილენი განიხილავენ მშვიდობის, განიარაღებისა და ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილებისათვის საზოგადოებრიობის მოძრაობაში სამეცნიერო წრეების წვლილს.

კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისათვის

ბაღდადი. აქ გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „ირან-ერაყის ომის ხაზში შედეგები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის".

[...]

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔ-
ᲚᲘ: ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔ-
ᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲙᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

...

ᲬᲔᲡᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

— როგორ, სოფლის ყრილობა თქვენ არ გეხებათ?
— პატარა ბავშვი მყავს სახლში დატოვებული, — უპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა.
— ვისთან?
— დედამთილთან.
— ჰოდა, აი ეს ყრილობა სწორედ თქვენისთანებისთვის არის მოწვეული. შინ ბავშვის მიმხედავიც გყავთ და ასე ჭანლობით სავსე ადამიანებს არ გინდათ გამოხვიდეთ კოლმეურნეობაში სამუშაოდ, ვენახს, რომ იტყვიან, ცეცხლი ეკიდება, თუ დროზე არ გავფურჩნეთ, მტევნები ერთიანად სცვივა, თქვენ კი ჩრდილში ყოფნას არჩევთ.

...

შაოების დროს კოლმეურნეობას მოსწყვლები ცხმარებიან/ ესენი კი შინ უქმად სხედან.

შრომისუნარიან მამაკაცთა შორის, რომელთაც წლეულს არც ერთი კალენდარული დღე არ უმუშავიათ კოლმეურნეობაში, სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ბოსტოღანაშვილმა 28 კაცი დაასახელა, კარბოდ, მექანიზატორები და ჰეტომძღოლები, რომლებიც კოლმეურნეობას ყველაზე მეტად სჭირდება. რამან მამულაშვილმა...

უნდა იმართლონ თავი ამ ჭანლობით სავსე ვაჟკაცებმა. ეს კოლმეურნეობის, მისი წევრების, მეზობლების, მევობრების ღალატია და მეტი არაფერი. არამიანი ჩვენი მიწა და წყალი მათთვის, — თქვა ხანში შესულმა მევენახემ ქიტესა ტოკლიკაშვილმა.

სწორედ ამ უმადური ხალხის წყალობით არის, რომ კოლმეურნეობაში მცირდება მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოება, საერთოდ კი — შრომის...

— იმდროინდელი კოლმეურნეობის წევრი ვარ, სოფელში ერთი პატარა სატვირთო ავტომანქანა რომ გვქონდა. ვმუშაობდით, საქმეს ვძლევდით. ეს ქონება და სახელი ზემო მაჩხაანისა, ლენინის ორდენი შრომით არის მოპოვებული, ზარმაცებს, უქნარებს არ უნდა მივცეთ უფლება შეარცხვინონ ჩვენი სოფლის სახელი, უნდა ჩამოვიშოროთ ისინი, ავყაროთ კოლმეურნის უფლება, რომლითაც ბოროტად სარგებლობენ,
წინადადებას მხარი დაუჭირეს

თავიანთი აზრი, გულისტკივილი ზემომაჩხაანელთა გასაჭირის გამო.

ზემო მაჩხაანი ცნობილი სოფელია, მას მყარი საფუძველი და დიდძალი განუყოფელი ქონება აქვს. თავად სიტყვა მუქთახორა და ზემო მაჩხაანი ყოვლად შეუთავსებელია. ასეთი ადამიანები, სოფლის ყრილობაზე რომ ითქვა, ან შემობრუნდებიან კოლმეურნეობისაკენ, ან გარიცხებიან მისი რიგებიდან.

სასიხარულოა, რომ ამ ბოლო ხანს, რაც კოლმეურნეობას პარტიის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკი, ზემომაჩხაანელი, სპეციალობით ზოოტექნიკოსი ელგუჯა ნატროშვილი ჩაუდგა სათავეში, ერთგვარი სასიკეთო ძვრები იგრძნობა. ეს წინსვლა უნდა განმტკიცდეს, გაძლიერდეს.

სოფლის ყრილობამ თავისი აზრი, თავისი მტკიცე გადაწყვეტილება გამოხატა იმით, რომ რ. მამულაშვილი, რ. მარტყოფლიშვილი, ჯ. ტოკლიკაშვილი, თ. ნასრაშვილი გარიცხა კოლმეურნეობიდან, გაუმიჯნა საკარმიდამო ნაკვეთები, სხვები კი...

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲡ

ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ ᲣᲥᲜᲐᲠᲔᲑᲡ

მიხეილ მარტყოფლიშვილმა, ჯემალ ტოკლიკაშვილმა, თენგიზ ნასრაშვილმა მიატოვეს მშობლიური კოლმეურნეობა, რომელმაც ისინი აღზარდა, დაავაჟკაცა, დაოჯახა, და სხვა საქმეზე წავიდნენ. ახლა კი ყრილობაზე უსაფუძვლო მიზეზებით თავს იმართლებენ.

ნაყოფიერება. უკუპროპორციულად იზრდება შრომის ანაზღაურება. კოლმეურნეობა იძულებულია იქ, სადაც უჭირს, მაგალითად, მეცხოველეობაში, ზედმეტი თანხები გაიღოს. რადგან სამარცხვინოა, რომ ამ ოდითგანვე მეცხოველეების — ზემომაჩხაანლების...

მევენახე ბრიგადირმა თენგიზ ტოკლიკაშვილმა, კოლმეურნეობის მაყვალა ჯალიაშვილმა, მარიამ პაპიაშვილმა, ახალგაზრდა სოფლის ექიმმა ბაბულია ბოსტოღანაშვილმა და სხვებმა.
ზემო მაჩხაანელთა თავყრილობას წითელ წყაროს რაიონიდან, მეზობელი სოფლებიდან...

...

ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი გ. ჭარაძემაშვილი.

ᲕᲚ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲓᲐᲜ ᲒᲒᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

● **ᲗᲐᲚᲘᲡᲝᲑᲐᲓ** ... რომ წინათ რამდენჯერმე იყო მსჯავრდებული სხვადასხვა დანაშაულისათვის. უკანასკნელი სასჯელი 1982 წლის ოქტომბერში მოიხადა.

მოსალოდნელი იყო, რომ ა. ამირიძე ამჯერად მაინც გამოიტანდა სათანადო დასკვნებს და ცხოვრების სწორ გზას დაადგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენჯერმე გააფრთხილეს, ჩაბმულიყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და ხელწერილიც კი ჩამოართვეს, მაინც განაგრძობდა პარაზიტულ ცხოვრებას.

პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. ამირიძეს ორი წლის თავისუფლების...

...

ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ

ᲤᲮᲘᲖᲔᲚ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲔᲞᲐᲠᲐ

ᲥᲣᲩᲐᲡ ღინჯად მოუყვება ადამიანთა ჯგუფი. მამაკაცებთან ერთად ქალებიც არიან. მათ მარცხენა მკლავზე ალისფერი სამკლაურები უკეთიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ისინი კეთილშობილურ მოვალეობას ასრულებენ — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სადარაჯოზე დგანან. როცა ქუჩაში, სკვერებში, სადგურებზე სიმშვიდეა, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები მოსვენებულნი არიან, მაგრამ მუდამ როდია ასე.

ბათუმის ნავსადგურში თბომავალი „ყორგიზეთი" ჩამოდგა. ტრაპით მგზავრები დაეშვნენ. სახალხო რაზმელები ა. ქათამაძე და გ. ზეზეკუა მგზავრ...

განცდა. ზოგი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა პატრულიერით მორთულ სანაპიროს, ზოგს შინისკენ მოეჩქარებოდა. ისეთებიც არიან, რომლებიც სეჭვეო „მისიით" ჩამოდიან. რაც უნდა იყოს, ბათუმი არა მარტო სანავსადგურო, საზღვრო ქალაქიც არის, ამიტომაც მეტი სიფხიზლეა საჭირო.

რაზმელებმა ყურადღება მიაქციეს...

უზომოდ მთვრალი ვ. სტეპანოვი დაეძია ოჯახის წევრებს და უმოწყალოდ ცემდა. გაბოროტებული სტეპანოვი ვერც მეზობლებმა შეაჩერეს. ამ მძიმე მდგომარეობაში იქ გაჩნდნენ სახალხო რაზმელები და აღკვეთეს დანაშაული. ვ. სტეპანოვს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ნ. კაკაბაძის ხელმძღვანელობით განსაკუთრებით აქტიურ...

არის, სახალხო რაზმელები მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. ასეც ხდება. ს. მაქვლაძის ჯგუფმა რ. სიითაძის ოჯახიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო, მაიაკოვსკის ქუჩაზე მომხდარი ავტოავარიის ადგილას პირველები გაჩნდნენ სახალხო რაზმელები ი. ქურიძე, ვ. ქვინტიკიძე, გ. ჩაჩავა და დახმარება აღმოუჩინეს დაზარალებულთ...

სამორიგეოდ ფორმალურად ცხადდებიან და დიდს არაფერს აკეთებენ, მაგრამ არის ისეთი ჯგუფებიც, რომელთა საქმიანობას მთელი ქალაქი იცნობს. ათობით რაზმელმა ფრიადოსნის სამკერდე ნიშანი დაიმსახურა. ესენია გემთმშენებელი ქარხნის მუშა ე. ილინი, 44-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე მ. კირთაძე, ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა თ. მახარაძე და სხვები. თავდადებულ რაზმელთა უანგარო შრომა საპატიო ჯილდოთი აღინიშნა. ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის საამქროს უფროსი ი. ბოლქვაძე, პარიკმახერი ნ. მიქაძე, ავტოტრესტის ინჟინერი თ. ნოღაიძე, № 5 სამშენებლო...

ლეევათა და დანაშაულობათა მხილებას როდი ეხება, ასევე მნიშვნელოვანია პროფილაქტიკა. ყველაფერი ეს ჩამოყალიბებულია შეჯიბრების მუხლებში. მჯობნის მჯობნს რა გამოლევს, ნათქვამია. ბევრი შტაბი და რაზმი მუშაობს წარმატებით მაგრამ შორმან ყველას მაინც მეოთხე მიკრორაიონმა (შტაბის უფროსი — მ. მუჯირი) აჯობა და პირველი ადგილიც მას მიაკუთვნეს. მათვე გადაეცათ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

საერთო წარმატებას ისიც განაპირობებს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმელ...

...

...სახალხო საქმეს. ვისაც მშობლიური ქალაქი უყვარს, მისი კეთილდღეობისთვის ზრუნვა სიამოვნებაა. ასე ფიქრობს ყველა მოწინავე სახალხო რაზმელი.

Მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘᲗ

...

სამხარაძე თამაზ შალვას ძე 23 წლისაა, ერთი სასჯელი უკვე მოხდილი აქვს ქურდობისათვის, მისი მოგვარე თამაზ ნოდარის ძე მხოლოდ 19 წლისაა, მშობლიური ქალაქი, ოჯახი მიატოვა და თბილისში ცხოვრობდა ჩაუწერლად დაქირავებულ ბინაში. დარბაიძე მუხრან ოთარის ძე მათზე ცოტათი უფროსია, ცოლშვილიანი, სულ ერთი წლის წინათ მოიხადა სასჯელი ქურდობისათვის. რუსლან ბიჭიას ძე გაფრინდაშვილი 20 წლისაა, ავტომანქანის ქურდობისთვის სასჯელი მოუხდელი ჰქონდა და მიმალვის ადგილიდან გამოიპარა, კომკავშირელ გიორგი გურგენის ძე ცერცვაძეს კი კოლმეურნის გეოდეზისტის საპატიო მოვალეობა ეკისრა.

ბოროტმოქმედთა ეს ახალგაზრდა ხუთეული მალაროელთა ქალაქის მკვიდრნი არიან. მარმან მათ ბევრი ოჯახი აატირეს თბილისში, ქუთაისში, ზესტაფონში, საჩხერეში. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით შეიარაღებულნი, სახეზე ნიღაბ...

...

Ნ. ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲐᲪᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲔᲡᲐᲕᲓᲔᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ მეტად იგი შრომაგასწორების კოლონიაში მუშაობის დროს დაამახსოვრდა. დარბაისლურ ქცევასა და სიტყვაპასუხში ეტყობოდა, რომ ამ თამაშვერცხლილ კაცს რაღაც შინაგან განცდასთან ერთად, ცხოვრების მძლავრი გამოცდილება და მომავლისადმი ღრმა რწმენა არ აკლდა. მისმა პიროვნებამ დამაინტერესა. პროფესიით ელექტრონიკოსი აღმოჩნდა. გასამართლებამდე ქარხნის საამქროს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ყოფილა ელექტრობის დარგში. მოხდა ბრმა შემთხვევა — სიფხიზლის ოდნავ მოდუნების შედეგად დაირღვა უსაფრთხოების წესები, რასაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა...

რების კოლონიაში მოსვლისთანავე დარწმუნდა, რომ აქაც შეიძლებოდა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის გაკეთება.

გადიოდა დღეები. იგი ყოველთვის შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. სანიმუშო საშემრულებლო დისციპლინის მაგალითს იძლეოდა. ყველა უბანზე, სადაც მას მუშაობა უხდებოდა, წარმატებას აღწევდა...

თითქოს ცხოვრება თავიდან დაიწყო — ასე მოეჩვენა იმ ბედნიერ და დაუვიწყარ დღეს. ეს უბრალო მოჩვენება იყო, თავის ლამაზ წარსულთან, როგორც კაცს და დახელოვნებულ ელექტროსპეციალისტს, კავშირი ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია. იგი ყველგან ახალგაზრდულ შემართებით უძღვებოდა მინდობილ საქმეს...

სამრეწველო წარმოების კომბინატის ავტომატიკა-საკომპრესორო სადგურის გამმართველად ინიშნება. სწორედ აქ გამოჩნდა მისი ნიჭი, როგორც სპეციალისტისა და რაციონალიზატორისა: სწორედ მისი გამოგონების შედეგად ათობით პირობითი მუშა-მსჯავრდადებული განთავისუფლდა მძიმე სამუშაოდან — ცემენტით დატვირთული ვაგონების გადმოტვირთვისაგან. ერთი სიტყვით, ახლა ვაგონებს ცლის ჰაერი, რომელიც ათასობით მანეთი დაუზოგა წარმოებას.

ავტომატიკა-საკომპრესორო სადგურში ხშირად ფუჭდებოდა ბურთულ-საკისარი, რის გამოც წუნის პროცენტი დიდი იყო...

დაწყვეტილება მიიღო — დარჩენილიყო საწარმოში, სადაც სასჯელის უკანასკნელი დღე მოიხადა.

არც საწარმოს ხელმძღვანელობი დარჩენილან ვალში, ინჟინერ-რაციონალიზატორს ირიცხავს ერთი რთული უბნის — რთული კონსტრუქციის, მაღალი ძაბვის რკინა-ბეტონის ბოძების დამამზადებელი საამქროს თავკაცობა შესთავაზეს და არც შემცდარან.

თავკაცი მართლაც თავკაცურად უძღვება საქმეს. მას ახლა ახალი საფიქრალი და საზრუნავი გაუჩნდა — საამქრო მთლიანად ავტომატურ მართვაზე გადაიყვანოს...

...

...სიტყვის კაცია ბადურ გაფრინდაშვილი. ამის დასტურია ის გულისხმიერება და სიყვარული, რომლითაც იგი ყოველ საქმეს, მინდობილ უბანს, ახალ წამოწყებას ეკიდება.

Ვ. ᲒᲒᲐᲫᲐᲑᲘᲐ.

ᲗᲐᲠᲔᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲖᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥ რუსთავის რკინიგზის რესტორნის ერთ-ერთ კუთხეში მაგიდას ექვსი კაცი შემოუსხდა. მიმტანმა შეკვეთის ჩასაწერად ბლოკნოტი მოიმარჯვა და თავაზიანად მიმართა: რას მიირთმევთ?

— შავი ხიზილალა, სპირტის ალზე შემწვარი ზუთხი, სუკის მწვადები, ბაზრის წიწილა, ცივი საცივი, ექვსი ბოთლი შამპანური. დანარჩენს მერე მოგთხოვთ მადისდა მიხედვით...

როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს „ორიგინალური" მენიუ ხენი იმ ბანდიტური ჯგუფის წევრები იყვნენ, რომელთა...

და ყაჩაღებისათვის დაპირებული 20 ათასი მანეთი მოსთხოვა, თანაც „მოიბოდიშა", ადრე რომ გავგო, ასეთი რამ არ მოხდებოდა, რადგან „ისინი" ჩემი ნაცნობები იყვნენო. „შუამავალმა" დანაპირები თანხის ნაწილი მიიღო, ხელში ლეინით სავსე ჭიქა აიღო და ოჯახს დალოცა, როგორი გულითაც დაილოცა, ისე შორ...

ლი უნდა გამოეტანა ოჯახიდან, უფრო მეტიც, განა მას ბინაში არ აღმოაჩინეს ჩხრეკისას პისტოლეტის ვაზნები და ასაფეთქებლად გამზადებული დეტონატორები? ასეთი გარე...

ადამიანები სოფელ შრომის განაპირა ტყეში გათოკა, ხეზე მიაბა და იარაღდამიზნებული ცდილობდა ფულის გამოძალვას. ტყვის მიერ დაწერილი ა. ტ-ძეს წერილი თავისი მეუღლისადმი 5.000: მანეთის გამოგზავნაზე და მიიღო „თანხმობა" მეუღლისაგან 20.000 მანეთის მიცემაზე. ამ არაკაცმა ამოაცალა ხელებგაკოჭილ ა. ტ-ძეს ჯიბიდან 600 მანეთი, წაართვა საათი, მანვე გაარტყა სახეში ა. მ-ნს იმიტომ, რომ...

ლოდ ფოთელმა ზურაბ ოთარის ძე საბაშვილმა მოასწრო ტროებით მიმალვა.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო არ არის ყაჩაღების დემოგრაფიული ცნობები, რა წარმოსახენი და სახსენებელი არიან ასეთი ადამიანები. სამაგიეროდ ქებით მოვიხსენიებთ ზესტაფონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს — განყოფილების უფროსს მ. ჯაფარიძეს, მის მოადგილეს თ. რობაძეს, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსს ა. წერეთელს...

...

Ო. ᲜᲘᲥᲐᲑᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვერტმფრინავი მწყემსებისაკენ მიეშურება

ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს გამსვლელი სასწრაფო და გეგმით გათვალისწინებული საკონსულტაციო დახმარების განყოფილების სადისპეტჩეროში საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარი გაისმა. ყაზბეგის რაიონული ცენტრიდან დაუყოვნებლივ დახმარებას ითხოვდნენ: საქართველოს სამხედრო გზით დარიალის ხეობის ვიწროებში ცხვრის გადარეკვის დროს მწყემსი გამხდარიყო ავად. სადისპეტჩეროში დაწვრილებით არც კი გამოეკითხათ ამბავი, რომ რესპუბლიკის სანიტარიული ავიასამსახურის უფროსი ექიმი კანდელაკი უკვე თბილისის აეროპორტს უკავშირდებოდა და, სთხოვდა მთებში გასაფრენად სასწრაფოდ მოემზადებინათ ვერტმფრენი. ვერტმფრენის გამოძახებიდან ერთი საათიც არ გასულიყო, რომ მისი მეთაური სერგო კურტანიძე, მეორე პილოტი არკადი აბაშიძე და ბორტმექანიკოსი რუსლან გვარამია უკვე ყაზბეგისაკენ მიფრინავდნენ.

რესპუბლიკის სოფლის რაიონების მოსახლეობის სასწრაფო მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება, განსაკუთრებით ძნელად მისადგომ ადგილებში, სანიტარიული ავიაციის ძირითადი ამოცანაა, — გვითხრა გ. კანდელაკმა. სპეციალისტი მედიკოსები ავიაციისა და საავტომობილო ტრანსპორტის მეშვეობით უმოკლეს ვადებში უწევენ საჭირო დახმარებას.

საჭიროების შემთხვევაში გამსვლელი სასწრაფო დახმარების განყოფილება დახმარებას სთხოვს ხოლმე ისეთ მხცოვან მეცნიერებს, როგორიც არიან ლენინური პრემიის ლაურეატები ტრავმატოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ო. ღუდუშაური, ოტოლარინგოლოგი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ს. ხეჩინაშვილი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, პროფესორები — მიკროქირურგი გ. ნაცვლიშვილი, ონკოგინეკოლოგი ლ. ჩარკვიანი, ნეიროქირურგი ო. სიგუა, ნევროპათოლოგი ვ. გაბაშვილი.

თბილისის მეთაური განყოფილების გარდა სანიტარიულ ავიაციას ცენტრები აქვს ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ყოველწლიურად ექიმები შემთხვევის ადგილამდე ფრენას აწყობენ ვერტმფრენებითა და თვითმფრინავებით. ხუთასი კილომეტრი — ასეთია საქართველოს სანიტარიული ავიაციის მოქმედების რადიუსი. მისი კონსულტანტია თითქმის 800 სპეციალისტი — მედიკოსები, კარდიოლოგები და ჰემატოლოგები, ტრავმატოლოგები და ინფექციონისტები.

სურათებზე: ცხვრის გადარეკვის ტრასაზე სამედიცინო დახმარებისათვის ჩამოფრინდნენ ნეიროქირურგები გია ნანავა, ჯონი გუნია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები ელგუჯა თოდუა და ოთარ ჩიქოვანი (მარცხნიდან მარჯვნივ); მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გულმკერდის ქირურგიის სპეციალისტი ოთარ ჩიქოვანი (მარცხნივ) და ნეიროქირურგი გია ნანავა კონსულტაციას უწევენ მწყემსებს.

ბ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რა ვნახეთ

გალანძღული რეისი

...6 ივლისი. 10 საათი და ოცდახუთი წუთი, ოპერის თეატრის წინ სულ ახალთახალი ტროლეიბუსი გაჩერდა...

— რა ლამაზია! — თქვა დარბაისელმა მანდილოსანმა.

— ჩეხურია! — თქვა სათვალიანმა ბიჭმა.

Высокая культура! — რატომღაც რუსულად თქვა მაღალმა, პენსნეიანმა კაცმა. მერე სავარძელზე მოიკალათა, ჯიბიდან ოპერის თეატრის პროგრამა ამოიღო, კმაყოფილმა დახედა და გაიღიმა. „დონ კიხოტი" — ეწერა პროგრამაზე. ის-ის იყო თეატრში ბალეტის წარმოდგენა დამთავრდა. ჩვენი ცნობილი ბალერინა, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ნინო ანანიაშვილი სამშობლოში საგასტროლოდ ჩამოვიდა და იმ საღამოს ცეკვავდა, თეატრიდან გამოსული გახარებული, აღტაცებული ხალხი ტროლეიბუსში ავიდა, და მანქანა დაიძრა.

— როგორ იცეკვა! რა მშვენიერი იყო! სიხარულს ვერ მალავდა ხალხი.

რა არ თქვეს: ბებიას გაზრდილიაო! — იჩემებდა ერთი ხნიერი ქალი, „რომეო და ჯულიეტას" ამზადებსო, — მთელ ტროლეიბუსს გამოუცხადა ღრმა დეკოლტეიანმა ქალიშვილმა, სწორედ ამ დროს გაისმა მძღოლის როყიო ხმა:

— უბილეთოდ ნუ ვიმგზავრებთ! — ეს იყო რაღაც რჩევასა და მუქარას შუა.

არადა, სალაროებში ბილეთი არ არის. ხურდამომარჯვებული ხალხი მორჩილად დგას.

— მე თქვენ გეუბნებით, ბილეთებია საჭირო!.. — ახლა აშკარად დაემუქრა მძღოლი ხალხს.

რამდენჯერმე კიდევ შემოგვძახა, „ბილეთები", „ბილეთებიო", ძალიან გაბრაზებულმა მძღოლმა. და მშვიდობის პროსპექტს რომ მივაღწიეთ, პურის მაღაზიასთან გაისმა:

— საქონლებო, ბილეთები აიღეთ!

სამუდამოდ გაუფუჭა ხალხს ის ბედნიერი განწყობილება, რომელიც თეატრიდან გამოიტანა. გაშრა ხალხი, გახევდა...

უცნაურად წარმოვიდგინე ეს ლამაზი ჩეხური ტროლეიბუსი ძროხებით, ხარებით, ხბოებით სავსე, რომელსაც სახედარი უზის საჭესთან, მერე რატომღაც იმ კაცს შევხედე, კულტურა რომახსენა, და ხალხი შემეცოდა!

• • •

მეორე დილით დავრეკე ტროლეიბუსების სამმართველოში და გვითხრეს: №4 მარშრუტზე მუშაობდნენ: მაღლაკელიძე, მეყილაძე და ვოდორეზოვი. […]

ჟ. ახვლედიანი.



სამეცნიერო ლაბორატორიებში

ვაზის სიკეთეს რა გამოლევს!

მეტად საინტერესო სიახლეს ჩაუყარეს საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ახალი სასურსათო პროდუქტებისა და მცენარეული რესურსების რაციონალური გამოყენების დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერმა თანამშრომლებმა, რომლებმაც მევენახეობის მეორეული ნედლეულის — ნაფურჩნისაგან ახალი პროდუქტების დამზადების მეთოდები შეიმუშავეს.

სწორედ ამ ნედლეულით დამზადებული საკვები პროდუქტების დეგუსტაცია მოეწყო ახლახანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვაზის ყლორტებისაგან დამზადებული მჟავე ნიგვზით თუ ზეთითა და ძმრით შეკაზმული, ვაზის ყლორტები კვერცხითა და სანელებლებით, ასევე ვაზის ყლორტებისაგან დამზადებული მჟაუნის ტიპის პირველი კერძი და ხაჭაპური (რომლის გულშიც ნახევარი ყველი და ნახევარი ვაზის ყლორტის მხალია) — ასეთი გახლდათ ამ უჩვეულო დეგუსტაციის მენიუ.

— აქ წარმოდგენილი სასურსათო პროდუქტები დამზადებულია ვაზის ნორჩი ყლორტებისაგან, რომელიც ვენახში სხვლა-ფურჩვნის შედეგად რჩება და ვაზის მეწამლამდე მიიღება, — გვითხრა ლაბორატორიის მეცნიერ ხელმძღვანელმა თინათინ ცინცაძემ, გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ამ მწვანე მასას, ყოველწლიურად 100 ათას ტონაზე მეტი რომ იყრება, საკმაოდ კარგი სასურსათო ღირებულება აქვს. იგი მდიდარია შაქრებით, ორგანული მჟავებით, ვიტამინებით, ცილებით, ასევე მცენარეული ბოჭკოებით, რაც ძალზე მარგებელია.

ვაზის ყლორტებისაგან დამზადებული მხალი თავისი თვისებებით სრულებითაც არ ჩამოუვარდება ეკალასაგან დამზადებულს, უფრო მეტიც. მასში ვიტამინი „ც-ს" შემცველობა ორჯერ მეტია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ვაზის ყლორტებისაგან დამზადებული პროდუქტები დაკონსერვების შემთხვევაშიც ინარჩუნებს ზემოთ ჩამოთვლილ სასარგებლო თვისებებს.

უნდა ითქვას, რომ ამ ნედლეულის კულინარული თვალსაზრისით ფართოდ გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აქამდე გამოუყენებელი მცენარეული რესურსების უდანაკარგოდ ათვისებას, რაც საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს და გარკვეული წვლილი იქნება სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში.

დეგუსტაციის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი პროდუქტები და საქმიანი მოსაზრებებიც გამოთქვეს ამ მეტად სასარგებლო სიახლის პრაქტიკაში დანერგვის თაობაზე. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, დროულად ვიზრუნოთ მისი პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.

ლ. კილაძე.

გამოკვლევის თემაა ტოქსიკომანია

უკანასკნელ წლებში აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, პროფესორი გ. ლეჟავა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ა. გაბიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ბ. ნანეიშვილი ნაყოფიერად წარმართავენ გამოკვლევებს, რომლებიც ეძღვნება ჩვენი დროის უაღრესად საჭირბოროტო და აქტუალურ პრობლემას — ტოქსიკომანიების წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებას.

გამოკვლევათა ეს ციკლი, რომელიც 15-ზე მეტ მონოგრაფიას, ნარკვევს და სტატიას შეიცავს, თავისი მიზანდასახულობით, შინაარსის მასშტაბურობით და სტრუქტურით აკადემიური ძიების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

ცნობილია ისეთი დაავადებანი, რომელთა არსის დასადგენად, სამედიცინო და ბიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლასთან ერთად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის კონკრეტულ-სოციალური, მორალურ-ეთიკური და ზოგჯერ იურიდიული წინამძღვრებიც, რომლებიც განაპირობებენ პიროვნების ისტორიულად დეტერმინირებულ […] ელთა თავისებურებების კვლევისათ მოითხოვს ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებას.

გამოკვლევათა ციკლი ემყარება იმ უეჭველ დებულებას, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც პიროვნებას ყველა პირობა აქვს გამოავლინოს თავისი სულიერი შესაძლებლობანი და დაიცვას მორალურ-ზნეობრივი ვალდებულებანი, ტოქსიკომანიებს არ გააჩნიათ რეალური და ღრმა სოციალური მიზეზები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საჭირო არ არის მის წინააღმდეგ სისტემატური და გადამწყვეტი ბრძოლა. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ არსებობს გარკვეული ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური პირობები, რომლებიც ხელს უწყობს ტოქსიკომანიის განვითარებას.

სწორედ ამ მრავალმხრივი საკითხების ფუნდამენტურ შესწავლას ეძღვნება ხსენებული გამოკვლევები, მათში საფუძვლიანად და ღრმად არის დამუშავებული ყველა ის ძირითადი მიმართულება, რომელთა გათვალისწინებითაც ავტორებმა მოგვცეს ტოქსიკომანიასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი, სა- […] და, კერძოდ, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში განვითარებული ცვლილებები; კლინიკური თავისებურებანი, მკურნალობა, პროფილაქტიკა; ამ დაავადებებთან ბრძოლის სამართლებრივი ღონისძიებანი და სხვა.

ნაშრომთა ციკლის ავტორების დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ისინი არ შემოიფარგლნენ ტოქსიკომანიის პრობლემების ფუნდამენტური საკითხების დამუშავებით (სოციოლოგია, პათოპერსონოლოგია, ბიოლოგიური წინამძღვრები), არამედ მათ საფუძველზე შეიმუშავეს ტოქსიკომანიების წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი და აქტიურად ჩაებნენ მათ დანერგვაში. ამ მხრივ გაწეულია მეტად შრომატევადი მუშაობა და გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

დღეს ჩვენს ქვეყანაში ტოქსიკომანიის მსგავს დაავადებებთან წინააღმდეგ გაშლილია უშეღავათო და უკომპრომისო ბრძოლა, უკვე მიღებულია გარკვეული დადებითი შედეგები. ამ მეტად დიდ საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ხსენებულ ნაშრომთა ციკლის ავტორებს, რომელთა გამოკვლევები საფუძვლად დაედო ტოქსიკომანიების წინააღმდეგ ბრძოლის მრავალ ეფექტიან, მეცნიერულად დასაბუთებულ სამკურნალო და ორგანიზაციულ ღონისძიებას.

ი. გოგრიჩიანი,

მეცნიერების დამსახურებული […]

მსახიობის შუადღე

[…] ბ. მამულაშვილი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ხობი

ახალი კულტურის კერები

ბევრი სასიკეთო სიახლე მოხდა ამ უკანასკნელ ხანს რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში — სხვადასხვა დანიშნულების მრავალი შენობა-ნაგებობა ჩადგა მათს სამსახურში. ერთ-ერთი მათგანია წლევანდელ სოფელ ხორგაში გახსნილი ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმი, რომლის ექსპონატები საინტერესოდ მოგვითხრობს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გარდა ამისა, სახლ-მუზეუმს ორი საკლასო ოთახიც აქვს, რომლებშიც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში რაიონის პირველკლასელებსა და წარჩინებულ მოსწავლეებს ჩაუტარდებათ პირველი გაკვეთილები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

რაიონის კულტურული ცხოვრებისათვის უთუოდ კარგი შენაძენია აგრეთვე სოფელ ხამისქურში რესპუბლიკის სახალხო არტისტის პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმის ეზოში გახსნილი თეატრონი, რომელიც 500-ადგილიანია და ნებისმიერი თეატრალური დასის მიღება ძალუძს.

რაზე მოგვითხრობს ექსპონატები?

ისტორიას მრავალი საინტერესო თქმულება და ლეგენდა შემოუნახავს უძველეს კოლხეთზე, რომლის ახალი სიცოცხლე საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. სწორედ კოლხეთის დაბლობზე გაწეულ მუშაობასა და მის საბოლოო შედეგებზე მოგვითხრობს რაიონის ცენტრალურ ნაწილში წამომართული კოლხეთის დაშრობისა და ათვისების ისტორიის მუზეუმი. ამის საილუსტრაციო ექსპონატებთან ერთად აქვე წარმოდგენილია კოლხეთის ფლორისა და ფაუნის ნიმუშები, მუზეუმის ეზოში კი გამოფენილია სამამულო თუ უცხოური წარმოების სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, რომლებსაც კოლხეთის დაშრობისათვის იყენებდნენ.

კომკავშირული ტყე-პარკი

რაიონის კომკავშირელები და ახალგაზრდები, რომლებსაც თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ხობელ მშრომელთა ბოლოდროინდელ წარმატებებში, ბევრი სასიკეთო სიახლის წამომწყებნიც არიან. ერთ-ერთი ახეთია ნოჯიხევის ოცდამეათე პროფტექნიკური სასწავლებლის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივა, რომელმაც შეფობა აიღო XI-XII საუკუნეების არქიტექტურულ ძეგლზე — ხობის მონასტერზე და მისი რესტავრაციის სამუშაოთა შესრულება ითხოვა.

ნოჯიხეველი ახალგაზრდების ეს თაოსნობა მოიწონა კომკავშირის რაიკომმა, რომელმაც მთელი რაიონის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ მისთვის. და სწორედ მაშინ იშვა კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს კომკავშირის სახელობის ტყე-პარკის გაშენებას გულისხმობდა: სიტყვას საქმეც მოჰყვა, და აი, წლევანდელი „ცოტნეობის" ტრადიციული დღესასწაულისათვის გაიხსნა კიდეც ტყე-პარკის პირველი რიგი.

ახალი ჩაის ფაბრიკა

ამ ახალ ფაბრიკას, რომელმაც პრაქტიკულად მოხსნა რაიონში ჩაის ფოთლის დამზადებასა და გადამუშავებას შორის არსებული დისპროპორცია, დღე-ღამეში 80-100 ტონა ნედლეულის გადამუშავება შეუძლია. იგი მთლიანად თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით არის აღჭურვილი. 400 ტონა ტევადობის სამაცივრო სათავსოები, რომლებშიც 2-3 დღის განმავლობაში შეიძლება მოკრეფილი ნედლეულის შენახვა, მთლიანად გამორიცხავს მის გადახურებასა და ხარისხის გაუარესებას.

ეკონომიკის აღმავლობისათვის

რაიონში ახალმშენებლობათა ხარაჩოები მაღლა მიიწევს. მალე ხობელთა სამსახურში ჩადგება სასპორტო სკოლა, 600-ადგილიანი კინოთეატრი, საცხოვრებელი ბინები, საავადმყოფოს ახალი კომპლექსი და სხვა ნაგებობანი.

მაგრამ მთავარი ყურადღება, ცხადია, სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში არსებული ნაკლოვანებების ოპერატიულად გამოსწორებას, მათს შემდგომ აღმავლობას, საამისოდ საჭირო გზებისა და […]

რ. რუსია,

„კომუნისტის" საკ. კორ.

მშვიდობის, აღმშენებლობის ფერები

თბილისი. (საქ. კორ.). […]

ჭადრაკი

ფიდეს სამდივნოს ცნობით

ფიდეს სამდივნომ ლუცერნში (შვეიცარია) გამოაქვეყნა იმ 14 დიდოსტატის სია, რომლებიც შერჩევის გარეშე დაიშვებიან მომავალ საზონათაშორისო ტურნირებში, აქვე ნათქვამია, რომ ეს 3 საზონათაშორისო ტურნირი გაიმართება 1985 წლის პირველ ნახევარში ბილში (შვეიცარია), ქ. ტუნისსა (ტუნისი) და მაუსდალში (ნორვეგია). თითოეულში 18 მონაწილე იქნება. ამ საზონათაშორისო ტურნირების დანარჩენი 40 მონაწილე ზონალურმა ტურნირებმა უნდა გამოავლინონ.

აი ეს 14 მოჭადრაკე, რომლებიც პირდაპირ საზონათაშორისო ტურნირებში ითამაშებენ: მსოფლიო ექს-ჩემპიონები ტალი, პეტროსიანი და სპასკი, დიდოსტატები პოლუგაევსკი, ვაგანიანი, იუსუპოვი (ყველა — საბჭოთა კავშირი), ანდერსონი (შვეცია), ტიმანი, სოსონკო (ორივე — ჰოლანდია), მაილსი, ნანი (ორივე — ინგლისი), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), სეირავანი (აშშ) და ლუბოევიჩი (იუგოსლავია).

ამ დიდოსტატებს უპირატესობა მიეცათ უკანასკნელ ორ წელიწადში მიღწეულ წარმატებათა გამო.

● ●

პირველი მეტოქეები

ბუქარესტში ქვეყნებში მოეწყო ფეხბურთელთა ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა. […]

საჭადრაკო ორბიტა

[…]

ბაქოთ „კომუნისტი". მთავარი ბანაკი […]

რედაქტორი

გ. ბიძინაშვილი.

თბილისი

11 ივლისი

[…]

ჩვენს ეკრანებზე

[…]

თეატრი

11 ივლისი

[…]

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 […]